

გამოცდის მსვლელობისას სტუდენტთა ქცევის წესები

1. სტუდენტი ვალდებულია ცხრილში მითითებული განრიგის მიხედვით, გამოცხადდეს გამოცდის ჩატარების ადგილზე. საგამოცდო დროის დაწყებიდან, სტუდენტი გამოცდაზე დაიშვება 15 წუთის განმავლობაში. ეს დრო არ დაემატება სტუდენტის საგამოცდო დროს.
2. სტუდენტი ვალდებულია, ბაკალავრიატის შემთხვევაში იქონიოს სტუდენტის ბარათი, ხოლო მაგისტრატურის შემთხვევაში პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სტუდენტი გამოცდაზე არ დაიშვება. აღნიშნული ფაქტი ფიქსირდება სტუდენტის მიერ საგამოცდო წესების დარღვევის უწყისში.
3. დაუშვებელია სხვის ნაცვლად საგამოცდო პროცესში მონაწილეობა, აღნიშნულ შემთხვევაში სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან, ხოლო მის მიმართ დაიწყება დისციპლინარული წარმოება. შეიქმნება ეთიკის კომისია და წესების დარღვევის დადასტურების შემთხვევაში დაეკისრება დისციპლინარული პასუხისმგებლობა.
4. სტუდენტს საკუთარი ადგილის ნომერი ეცნობება საგამოცდო ცხრილთან ერთად შესაბამის ელექტრონულ პორტალზე. იგი ვალდებულია, საგამოცდო სივრცეში ადგილი დაიკავოს აღნიშნული ნომრის მიხედვით. ხოლო გამოცდის დაწყებამდე გაიაროს რეგისტრაცია საგამოცდო სივრცეში შესვლამდე სპეციალურ მოწყობილობაზე სტუდენტის ბარათის დაფიქსირებით
5. აკრძალულია გამოცდაზე ნებისმიერი ნივთის შეტანა, გარდა საწერი კალმის (მხოლოდ ლურჯი ფერის), სასმელი წყლისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი ნივთებისა. ზედმეტი ნივთები სტუდენტმა უნდა დატოვოს შესაბამის ოთახში გამოცდის დაწყებამდე.
6. სტუდენტი ვალდებულია, მაგიდის კუთხეში დადოს პირადობის მოწმობა ან/და სტუდენტის ბარათი.
7. მაგიდაზე არ უნდა იდოს არც ერთი ნივთი გარდა სტუდენტის პირადობის მოწმობის ან/და სტუდენტის ბარათის, საწერი კალმის, სასმელი წყლისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი ნივთებისა.
8. წერის დაწყებამდე სამუშაო მაგიდაზე რაიმე სხვა ფურცლის აღმოჩენის შემთხვევაში სტუდენტი მიიღებს გაფრთხილებას, გამოცდის დაწყების შემდეგ ნებისმიერი სხვა დარღვევის შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან.
9. სტუდენტი ვალდებულია, შეამოწმოს მისი საგამოცდო ფურცლის ხარვეზიანობა, დაზიანების არსებობის შემთხვევაში უნდა მიმართოს დამკვირვებელს. საგამოცდო დროის ათვლის დაწყების შემდეგ ასეთი პრეტენზია აღარ მიიღება.

10. საგამოცდო ნაწერი უნდა შესრულდეს დამკვირვებლის მიერ დარიგებულ საგამოცდო ფურცლებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ნაშრომი არ გასწორდება.
11. სტუდენტს ეკრძალება საგამოცდო ფურცელზე მაიდენტიფიცირებელი ნიშნის (სახელი, ნომერი, მისამართი და სხვა) ან რაიმე სახის ისეთი გრაფიკული გამოსახულების (ფიგურა, წარწერა და ა.შ.) დატანა, რომელიც დაკავშირებული არ არის ტესტურ დავალებასთან; საგამოცდო ფურცელზე რაიმე სახის მინიშნების აღმოჩენის შემთხვევაში ნაწერი არ გასწორდება.
12. სტუდენტი ვალდებულია, არ დაიწყოს საგამოცდო ნაშრომზე მუშაობა, ვიდრე არ დაიწყება საგამოცდო დროის ათვლა. დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მაქსიმალური ხანგრძლივობაა 3 საათი (თუ სხვა რამ არ არის მითითებული საგამოცდო ბილეთზე), ხოლო შუალედური გამოცდის ხანგრძლივობა არ აღემატება 2 საათს.
13. საგამოცდო დროის ათვლის დაწყების შემდეგ აკრძალულია საგამოცდო სივრცის დატოვება წერის სრულად დამთავრებამდე.
14. საგამოცდო საკითხებთან დაკავშირებულ შინაარსობრივი ხასიათის შეკითხვებზე პასუხი არ იქნება გაცემული. პროცედურული და ტექნიკური ხასიათის შეკითხვების შემთხვევაში სტუდენტმა უნდა მიმართოს დამკვირვებელს.
15. აკრძალულია გამოცდის პროცესის დროს საუბარი. ერთმანეთთან გადალაპარაკების შემთხვევაში სტუდენტი მიიღებს გაფრთხილებას, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან.
16. ღია წიგნის მეთოდით გამოცდის მსვლელობისას აკრძალულია, ხელით ნაწერი ან ისეთი მასალის გამოყენება, რომელიც საგამოცდო საკითხებთან დაკავშირებული შინაარსობრივი ხასიათის მატარებელია.
17. აკრძალულია მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული ხელსაწყო (თუნდაც გამორთულ მდგომარეობაში), ასევე საგამოცდო საგნით განსაზღვრული თემატიკის მატარებელი ინფორმაციის შემცველი ნივთის გამოცდაზე შეტანა. ამ შემთხვევაში სტუდენტი დაუყოვნებლივ მოიხსნება გამოცდიდან.
18. აკრძალულია საგამოცდო მასალების ნებისმიერი ფორმით (ფოტო, ვიდეო, დამატებითი ფურცელი) გარეთ გატანის მცდელობა ამ შემთხვევაში სტუდენტი დაუყოვნებლივ მოიხსნება გამოცდიდან.
19. გამოცდიდან მოხსნის საფუძველი შეიძლება გახდეს დისციპლინის სხვაგვარი დარღვევა (არაეთიკური ქმედება).
20. საგამოცდო დროის ამოწურვამდე 15 წუთით ადრე დამკვირვებელი ატყობინებს სტუდენტებს ამის შესახებ. არ გასწორდება იმ სტუდენტთა ნაშრომები, ვინც საგამოცდო დროის ამოწურვისთანავე არ შეწყვეტს მუშაობას.

21. დაუშვებელია საგამოცდო პროცესის მიმდინარეობისას სტუდენტის თვითნებური გადაადგილება. ამ შემთხვევაში იგი იღებს ზეპირ გაფრთხილებას, ხოლო საგამოცდო წესების განმეორებით დარღვევის შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან.
22. კომპიუტერული წერითი გამოცდის დასრულების შემდეგ, სტუდენტი ვალდებულია ნაშრომი შეინახოს დამკვირვებლის მიერ წინასწარ მითითებულ მისამართზე (საქალაქდემში) ასეთის არსებობის შემთხვევაში.
23. სამუშაოს დასრულების შემდეგ საგამოცდო ბილეთი და ფურცლები სტუდენტმა უნდა გადასცეს ნაშრომების ჩაბარებაზე პასუხისმგებელ დამკვირვებელს და საგამოცდო აუდიტორიიდან გასვლა დააფიქსიროს სპეცილურ მოწყობილობაზე სტუდენტის ბარათის გატარებით.
24. დაუშვებელია სტუდენტის, რომელმაც უკვე ჩააბარა ნაშრომი და დატოვა საგამოცდო სივრცე უკან დაბრუნება ნებისმიერი მიზეზის არსებობისას.